№ 151

პარასკევი, 14 ივლისი, 1900 წ.

**ხაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 151

პარასკევი, 14 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ნადვორნი სოვეტნიკი აზნაური ნიკოლოოზ როსტომის ძე მაღრაძე და მეუღლე მისი ელისაბედ გიორგის ასული სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ ქუთაისში საფიჩხი·ს ეკლესიაში, სადაც დანიშნულია მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი მათის ერთად-ერთის საყვარელის ასულის

მ ა ქ ც ე რ ი ნ ე ს

სულის მოსახსენებლად. წირვა გარდახდილ იქმნება ივლისის 20, ხუთშაბათს, დილის ათ საათზედ. (1—142—1)

ქუთაისის ჰაჭყოვცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—25)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

ნ ა ს ი ძ ე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12 მდე და საღამოობით 5—7 მდე. (30—უ.—7)

ვეძებ კასსირს

კარგის ჯამაგირით

ჩემის ღვინის

სარდაფისათვის,

რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, დობრ·ჟანსკის სახლში, № 17.

ბ·ე უნდა წარმოადგინოს ნაღდ ფულ·დ.

(4—6.—2) თავ. გიორგი ჭავჭავაძე

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, გორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ზძელიშვილი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მალსაჩს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. ჰ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ვ. გ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

გ. ლ. მარკევიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ: დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

მკურნალი

ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ახალი ამბავი

⁂ როგორც შევიტყვეთ, ტფილისის მაზრის სოფელ მარტყოფში გარდაუწყვეტიათ დააარსონ კერძო სასოფლო ქსენონი, რომლის შენახვა ხარჯში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე შემდეგის სოფლის საზოგადოებანი: მარტყოფისა, ნორიოსი, ახალსოფლისა და დიდ-ლილოსი. ქსენონში ერთი მკურნალი და ერთი ფერშალი იქმნება, რომელნიც საზოგადოებებმა უნდა ამოარჩიონ. ქსენონში ჯერ-ჯერობით ავადმყოფთათვის გამართული იქმნება ოთხი საწოლი: 2 მამა-კაცთათვის და 2 დედა-კაცთათვის. ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ლ. ჯანდიერს უკვე უთხოვნია საგუბერნიო მთავრობისათვის გაიგზავნოს საგუბერნიო არქიტექტორი ქსენონის ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენადა და საზოგადოებებზე ხარჯის თანაბრად გასანაწილებლად.

⁂ ოთხშაბათს, 12 ივლისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის წინადადება იმის შესახებ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ხოლმე შენობების აგების დროს მუშაობას. ასეთი ყურადღება მით უფრო საჭიროა, რომ ამ ბოლოს დროს რამდენიმე ახალი შენობა დაინგრა და უბედურება დატრიალდა. ეს საქმე, თავ. ჩერქეზიშვილის აზრით, უნდა ქალაქის ტეხნიკოსებს დაეკისროთ. ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა თავ. ჩერქეზიშვილის წინადადება და მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ მალე უნდა შეუდგნენ ქალაქის საამშენებლო განყოფილების დადგენილებათა გადათვალიერებას და აგრეთვე ის მოსაზრება, რომ სახლის პატრონთ უნდა იქონიონ წიგნაკები, სადაც არქიტექტორებმა თავიანთი შენიშვნები უნდა ჩასწერონ ხოლმე, დაადგინა: დამტკიცებულ იქმნას თავ. ჩერქეზიშვილის წინადადება იმ დრომდე, ვიდრე გადაათვალიერებენ სავალდებულო დადგენილებათ. ამას გარდა გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს განკარგულება მოახდინოს, რომ პოლიციამ ყოველთვის აცნობოს ქა-

## ფელეტონი

⁂

(იტალიანურიდგან)

—

როს გაზაფხულდა, ჩემსა წალკოტში,

აამწვანებულსა, აყვავებულში,

გარდაიფურჩქნა კოკობი ვარდი,

მას გულს უმკობდა მზის სხივი მარდი.

იქვე ბულბული ციურის ხმებით

სიყვარულზედა ვარდს უგალობდა...

ვარდი ჰხიბლავდა ჩემს ორსავ თვალსა,

ფრთოსნის გალობა სმენას მიტკბობდა...

გროვანი ჩემთა აზრთა და ფიქრთა

მათ მიესალმა აღტაცებითა.—

ვკითხე ჩიტუნას: „მარქვი,—სიყვარულს

სად აქვს სათავე, ან დასასრული"?

შეიგალობა და შემომძახა:

—განა თვით ვერ ჰგრძნობს ეგ შენი გული?

ახალგაზდა გულს სისხლის ჩუხჩუხი,

სიტკბო პირველის ამბორებისა—

არის სათავე... ცრემლი და ტანჯვა,

სცან, არის ბოლო ნეტარებისა!...

გრ. აბაშიძე

### ბერლინიდგან პარიჟამდე

(მგზავრის შენიშვნები)

გერმანელთა შორის ყველაზე უფრო მოსაწონია საზოგადო წესიერების დაცვა და სიყვარული როგორც საზოგადო, ისე კერძო საქმეებშიაც. გერმანელს კარგად ესმის, რომ საზოგადო ცხოვრებაში წეს-რიგს დიდი მნიშვნელობა აქვს—ბერლინელი ფრანგთან შედარებით უფრო ამაყად გეჩვენებათ, მაგრამ ყველგან ასე არის—საზოგადო მოქალაქობრივი ცხოვრება გერმანელთა შორის ბევრგან ძალიან განვითარებულია. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ერთი პატარა ქალაქი—ჰონოვერი. ეს ქალაქი ფრიად ლამაზი და კოხტაა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ხშირად გარეგანი სახე სრული გამომხატველია შინაგან თვისებათა, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს პატარა და კოპწია ქალაქი პირდაპირ ელაპარაკება მგზავრს, რომ აქ ისეთი მკვიდრია, რომელიც თავისის მოქალაქობრივი ცხოვრებით ევროპის ბევრს სხვა ქალაქზედ წინა სდგას. ჰონოვერში იშვიათად შეხვდებით პოლიციის რომელსამე მოხელეს და თუ არის სადმე, სრულიად უსაქმოდ, რადგანაც არავითარი ჩხუბი, ერთმანეთის წყენა, მშვიდობიანობის დარღვევა და სხვა პოლიციის სათვალყურო საქმეები აქ სრულიად არა ჰხდება.—

ქ. ჰონოვერიდგან მგზავრი გაივლის მეორე ქალაქ კელნში, რომელიც სძევს მდ. რეინის ნაპირას. რეინი დიდი მდინარეა, ამ მდინარეზედ თავისუფლად და სწრაფად დადიან მოზრდილი გემები. ქ. კელნის ერთს შესანიშნავს და ძვირფასს განძს შეადგენს კელნის ტაძარი, აშენებული რვაასის წლის წინად. ყველა მგზავრი სიამოვნებით სტკბება, როცა უცქერის ამ ძვირფასს განძს საზოგადო ხუროთ-მოძღვრებისას. მგზავრი სტკბება ცქერით და თან ჰსურს თვალი დიდხანს არ მოაშოროს. სიმაღლე ამ ტაძარს 156 მეტრი აქვს, რაც 72 საჟენს შეადგენს; ეიფელის კოშკთან შედარებით ეს სიმაღლე ძალიან ცოტა არ არის, მაგრამ ყველაზედ უფრო აღტაცებაში მგზავრი მოდის ამ ტაძრის ხუროთ-მოძღვრებით—ყველა ნაწილი ტაძრისა, გარეგანი თუ შინაგანი, მშვენიერს და სუფთა ქანდაკებას წარმოადგენს და ადამიანი განცვიფრებაში მოდის, რომ რვაასის წლის წინად ადამიანის ხელსა და გონებას შეუქმნია ასეთი უნაკლულო და ყოველის მხრივ ესტეტიურ გრძნობის დამატკბობელი ქანდაკებამხატვრობანი.—ეს ტაძარი თითქმის შუა ქალაქშია, რკინის გზის სადგურთან, უცხო მგზავრს იქვე ეგებება განსაკუთრებული ამ საქმის მოხელე კაცი, რომელიც ჰპირდება საჩუქრის ტაძრის დათვალიერების დროს. ამას გარდა ეს ქალაქი განთქმულია შესანიშნავის ოდეკალონით, რომელსაც ფარინის ოდეკალონი ჰქვიან; იშვიათად გაივლი ქუჩაში, რომ ოდეკალონის სურნელება არ იყნოსო. ზოგიერთს დიდს მაღაზიებს ოდეკალონით რწყავენ. ყველა ამასთან ქ. კელნი განირჩევა საზოგადოდ ყველაფრის სიძვირით: ბინა, სასმელი, საჭმელი, სხვა ქალაქებთან შედარებით, ძალიან ჰძვირობს, აქვე არის ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღები; ბაღში შესვლა ძვირად ღირს, მაგრამ ვისაც ამისთანა ბაღები უნახავს ბერლინში, იმაზედ კელნის ბაღები უკეთესად ვერ იმოქმედებს.

ქ. კელნიდგან გაივლით ერთს პატარა სახელმწიფოს—ბელგიას. ამ სახელმწიფოს კოხტა ბუნება, ჰაერი, მცენარეულობა და საზოგადო მდებარეობა მოგაგონებთ იმერეთის ზოგიერთს ადგილებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სიცოცხლე სდუღს, უთვალავი ფაბრიკები, ქარხნები და საზოგადოდ ხვნა-თესვა, მრეწველობა გაჩაღებულია; ყველა მიყრუებულ კუთხეშიაც კი გადის რკინის გზა, თხუთმეტის დღის განმავლობაში ერთ თუმნად შეგიძლიანთ მთელი სახელმწიფო შემოიაროთ. მგზავრი ცხადად ჰხედავს, რომ ალბათ მიცემობასთან ერთად ბელგიაში ძალიან განვითარებულია მიწის მუშაობაც; ბელგიაში ერთ მუჭა თავისუფალ მიწას ვერ იპოვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის გამგეობას, როდესაც სადმე შენობის აგებას იწყობენ.

*** ტფილისის ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ, რადგანაც ტფილისის ღარიბ ქართველ და რუს ებრაელთათვის გახსნილს პირველ დაწყებითს 3 განყოფილებიანს სკოლაში ამ ჟამად 138 მოსწავლეა ორივე სქესისა, რომელთაგანაც ქართველ ებრაელთა მოსწავლე-ბავშვთა რიცხვი 45°/o სჭარბობს ყველა დანარჩენთ, ამისათვის საშუალება მიეცეს სკოლის სამზრუნველო კომიტეტს ამ სასწავლებელში ქართულის ენის სწავლება და მის შემწეობით რუსულის ენის კარგად შეთვისება გაუმჯობესდეს. ამისათვის კომიტეტი საჭიროდ სთვლის პირველ განყოფილებასთან განსაკუთრებული მოსამზადებელი განყოფილება იქმნას გახსნილი და ქართულის ენის კარგად მცოდნე ქალი იქმნას მიწვეული, რასაც სკოლის შესანახ ხარჯს გარდა 800 მანეთამდე ფული კიდევ სხვა დასჭირდება. მაგრამ რადგანაც სამზრუნველო კომიტეტს არსაიდგან არავითარი წყარო არა აქვს ამ ხარჯის დასაფარავად, ქალაქის გამგეობას სთხოვს ყოველ წლივ 500 მან. შემწეობა აღმოუჩინოს ხოლმე ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოებას. გამგეობამ ეს თხოვნა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას გარდასცა, რომელსაც სთხოვა ამ საგნის შესახებ თავისი მოსაზრება წარუდგინოს გამგეობას.

*** ოთხშაბათს, 12 ივლისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა გამგეობის წევრის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისისა და ქუთაისის მეჯლისი სთხოვს გამგეობას ქალაქმა ერთი ნაჭერი მიწა დაუთმოს მეჩეთს ახლო ეზოს გასაფართოებლად.

მიიღო-რა მხედველობაში გამგეობამ, რომ ქალაქს არა აქვს ნება ქალაქის მიწების ან გაყიდვისა და ან გასაჩუქრებისა, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ მეჯლისს უსასყიდლოდ დაეთმოს მეჩეთთან ერთი ნაჭერი მიწა და ქალაქის მიერ-ნებართვის მიღების შემდგომ ნაჩუქრობის აქტით გადაეცეს მეჯლისს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათ სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ამ მოკლე ხანში კავკასიაში სამადნო მაღაროებში მუშაობის შესახებ და ამ მუშაობის მეთვალყურე მმართველობისათვის ახალი წესები შემოიღოს.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს ყურადღება მიუქცევია, რომ ტფილისის გუბერნიის ქალაქებზედ ამ ბოლოს დროს თანდათან მეტი სახელმწიფო გარდასახადი რჩება შეუტანელი უძრავს მამულებზედა და ამის გამო პოლიცმეისტრისა და მაზრის უფროსებისათვის წინადადება მიუცია, რომ დაუყოვნებლივ ყოველივე ღონისძიება იხმარონ გარდასახადის დროზედ წარმოსადგენად. ამასთანავე მოუთხოვნია გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ ცნობები უგზავნონ იმის შესახებ, თუ როგორ მიდის საქმე და რამდენად მალე შეივსება შეუტანელი გარდასახადი.

*** ადგილობრივს სამკურნალო სამმართველოში მრავალს ქალს განუცხადებია სურვილი, რომ მოწყალების დათ ჩაეწერნენ და შორეულს აღმოსავლეთში წავიდნენ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს 500 მან. ფული მიუღია სამინისტრო სასწავლებლების ღარიბებს მოწაფეთა შორის დასარიგებლად.

*** მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსებს, რომელიც 26 ივნისშივე დაიწყო, ამ წელს ძალიან ცოტა ყურის-მგდებლები ჰყავს.

*** 15 ივლისიდგან საზაფხულო ბაღში ოდესელი არტისტები დაიწყებენ წარმოდგენების მართვას. წარმოდგენილ იქმნება უფრო სუბუქი კომედიები და ფარსები. ამ დასში მონაწილეობას იღებენ: ვ. ა. მუხარინსკაია, ა. ს. ულიხი, ნ. ფ. ნიკოლსკი, ფედოროვი, ლენსკი და სხ.

*** 11 ივლისს, საღამოს 9 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზედ, სოკოლოვის სახლში ტფილისის მოქალაქეთ რუბენ ტერ-არუთინოვსა და ალექსანდრე მეტეხელაშვილს ჩხუბი მოუვიდათ იმავე სახლში მცხოვრების ქალის კ—ს გამო, რომლის დროსაც მეტეხელაშვილმა ტერ-არუთინოვი დანით დასჭრა ხუთგან: ორგან გულში და სამგან ზურგში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი.

*** ქალაქის გამგეობის 1899 წლის ანგარიში უკვე დაიბეჭდა და სარევიზიო კომისიის წევრებს დაურიგდა.

*** მიწის მფლობელობის ეხლანდელ მდგომარეობის გამოსაკვლევად ფინანსთა სამინისტრო მიწის მფლობელობის მოძრაობის სტატისტიკურ ცნობების შემუშავებას შეუდგა. სხვათა შორის, სამინისტრო სარგებლობს იმ ცნობებითაც, რომელნიც სენატის განცხადებებში იბეჭდება მიწის საკუთრების მოძრაობის შესახებ.

*** მართლდება ის ხმა, რომ განზრახვა აქვთ ქალაქის მკვიდრთა და ხელოსანთა გამგეობაში ცვლილებანი უნდა შემოიღონ.

*** ნება-დართულია ამიერიდან ახლად გამოგონილი სამეურნეო იარაღი უცხოეთიდგან ბაჟის გარდაუხდელად შემოიტანონ ხოლმე.

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის რკინის გზას განზრახვა თურმე აქვს რამდენიმე თავისი მსახური პარიჟის გამოფენაზედ გაჰგზავნოს. თუ რომ წასვლის მიზეზი დასაბუთებული და შესაწყნარებელი იქმნება, მაშინ მცირე შემწეობასაც მისცემს გამგეობა და არც დათხოვნის დრო ექმნება ჩათვლილი.

*** სოხუმის ოლქის მცხოვრებთ შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ მთავრობამ ადგილობრივ სამაგალითო სასოფლო-სამეურნეო ფერმა დაარსოს.

*** ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯის ოფიცრებსაც ისეთივე უფლება ჰქონდეთ სამხედრო სამკურნალოებსა და სამკურნალო წყლებზედ წამლობისა, როგორც სამხედრო სამსახურში მყოფს აფიცრებს.

*** კვირას, 23 ივლისს, სოფ. ნაგომარში—(ოზურგეთის მაზრაში) კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილების მიერ გამართული იქმნება ბაზრობა-გამოფენა მეფუტკრეობისა და ბაღოსნობის ნაწარმოებისა. გამოფენის გამართვა-მოწყობა ადგილობრივ კომიტეტსა აქვს მინდობილი, რომელსაც თავ. ნ. ყ. თავდგირიძე ჰთავმჯდომარეობს. ყველამ, ვინც-კი მონაწილეობის მიღებას მოისურვებს გამოფენაში, უნდა ერთიდგან ორ გირვანქამდე თაფლი, სანთელი და სხვა ნაწარმოები წარმოადგინოს. ეს ნაწარმოები კომიტეტის წევრის ბ. ნ. გეგელაშვილის სახელზედ უნდა იქმნას გაგზავნილი.

*** გუშინ, 13 ივლისს, ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა კოვალიოვმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ გამრავლებულ იქმნას ქალაქის პოლიციის მე-8 ნაწილში ქუჩა-მოედნების მწმენდელ მუშათა რიცხვი. ეხლა მუშები ვერ ასწრობენ თურმე ქუჩების დაწმენდას.

*** ორშაბათს, 10 ივლისს, პოლიციის მე-6 ნაწილში, აბანოებთან, ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, სოფ. ვარძიის მცხოვრებმა არტემ თემურაზის ძემ ხიჯაკაძემ დანით დასჭრა მუცელში აქ მცხოვრები სულტის ყოფა-ქცევის ქალი ანნა შახოვისა, რომელიც იქვე გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს, ხოლო დამნაშავე დაიჭირეს და გამომძიებელს გარდასცეს. მიზეზი მკვლელობისა ეჭვი ყოფილა.

## ფრინველების მომშენებელ რუსეთის სამეურნეო საზოგადოების ს. კულაშის მეთვალყურე კომიტეტის მეორე კრება.

რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საბჭოს თაოსნობით 18 ივნისს ს. კულაშში მოხდა მეორე კრება ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებისა, რომელსაც დაესწრო 480 მეტი ქალი და კაცი. კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნენ: ერთხმად კნეინა სოფიო მიქელაძისა, მდივნად გ. მგურხალი, ქუთაისის განყოფილების საბჭოს წარმომადგენლებად: საპატიო წევრი განყოფილებისა გენერ. დეიტენ. ა. ოტ. თავ. მიქელაძე და მდივანი ნ. მგურხალი. კრებას მოხსენდა: 1) განკარგულება ბ. აინოვსკისა (კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი), რომელმაც სავალდებულოდ გახადა ფრინველთა მოვლა-მოშენების სწავლება კულაშის დედათა სასწავლებელში; 2) გარდაწყვეტილება ქუთაისის სამეურნეო ფრინველთა საზოგადოებისა, რომელმაც საქათმის გასაკეთებლად 25 მანეთი გადასდო.

შემდეგ განყოფილების წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს კრებას: 1) „ამოირჩიონ საქათმის ამშენებელ კომიტეტის წევრები, 2) სასურველი არის თუ არა დაარსდეს ს. კულაშში [illegible] კულაშის ფრინველთა მომშენებელ სამეურნეო საზოგადოების მეთვალყურე კომიტეტი“. ორისავე წინადადების განხორციელება სასურველად იცნო კრებამ. აღმაშენებელ კომიტეტის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: მელქისედეკ დიმიტრის ძე, მელქისედეკ შმაკას ძე, სარდიონ როსტომის ძე და მერაბ ზურაბის ძე თავ. მიქელაძეები, ი. მ. კანდელაკი, გ. თ. მგურხალი, გლეხი ი. ო. ახობაძე და მღვ. ქებულაძე.

აქვე სხდომამ გაიცნო გეგმა იმ საქათმისა, რომელიც უნდა საქათმე აშენდეს სასწავლებელთან. დასასრულ ქუთაისის განყოფილების წარმომადგენლებმა საჩუქრები დაურიგეს იმათ, ვინც 1899 წლის ქუთაისის სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას იღებდა, როგორც ექსპონენტები.

კომისიამ დააჯილდოვა: სოფიო მიქელაძისა (მხეიძის ასული) პატარა ვერცხლის მედლითა და დიპლომით აბრეშუმის ჭიის კარგად მოვლა-მოშენებისათვის; ელისაბედ კანდელაკისა (დგებუაძის ასული) და ელისაბედ კანდელაკისა (ქუთათელაძის ასული) ორივენი ბრინჯაოს მედლებით კარგის ხელთსაქმისათვის; ანნა მიქელაძისა (ელიავას ასული) კარგის ინდაურების მოშენებისათვის და მარიამ მიქელაძისა (ერისთავის ასული) კარგის ბატების მოშენებისათვის ორივენი ბრინჯაოს მედლებით და დიპლომებით; გლეხმა სტანისლავ შენგელიამ მიიღო ათი მანეთი ფულად და ქების ქაღალდი კარგის კვახების მოშენებისათვის.

29 ივნისს მოხდა კრება იმ წევრთა, რომელნიც ქუთაისის საბჭოს წარმომადგენლების მიერ იქმნენ ამორჩეულნი კულაშის ფრინველთა მომშენებელ სა-

---

საქონლისათვის სთესენ იონჯას და სხვა ნოყიერ ბალახს, რომელიც მშვენიერს საკვებავ მასალას იძლევა და მასთან მიწასაც არა ჰღლის—იონჯის შემდეგ ჩინებული პურის მოსავალი იცის. მშვენიერი ბაღები, კარგი ყანები, ბოსტნები ბელგიაში იმასა ჰმოწმობენ, რომ მიწის სივიწროვეს აქ სრულიად არ მოჰყვება ნიადაგის გამოფიტვა: ეტყობა, რომ ბელგიელი მიწის მუშაკი მესაფერისად უვლის მიწას, საკმაოდ უბრუნებს იმ საზრდოს, რაც მოსავლით წაართვა, ამუშავებს წესიერად და ამიტომ მისი შრომა ყოველთვის უხვად დაჯილდოვებულია. —

ახენში, რომელიც ბელგიისა და გერმანიის საზღვარზეა, ფრანგი კონდუქტორები იბარებენ გერმანიის ვაგონებს. აქ ყველა მგზავრი შენიშნავს, რომ ფრანგებსა და გერმანელთ შორის კეთილი ძმური განწყობილება არ უნდა იყოს: ფრანგი არაოდეს გერმანულად არ დაელაპარაკება გერმანელს და არც ეს უკანასკნელი ფრანგს გამოელაპარაკება ფრანგულად. მაშ ბურთი და მოედანი მუნჯურ ლაპარაკს რჩება, ფრანგის კონდუქტორი ჩაიბარებს ვაგონებს და გაუდგებიან გზას. ეს ერთმანეთის სიძულვილი ამ ორ დასავლეთ ევროპის წარჩინებულ ერთა შორის აღმოცენებულია ისტორიულს ნიადაგზედ. მას შემდეგ, რაც გერმანიამ სძლია საფრანგეთს და წაართვა მშვენიერი პროვინცია ელზას-ლოტარინგია, ფრანგს მოსვენება არა აქვს; თუმცა-ღა დღეს გარეგნობით ყველა მშვიდობიანობის შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ ეს დამარცხება ფრანგს ლახვარსავით ასვია გულში და მუდამ იმის ჰმუნვაშია, როდის დადგება შესაფერისი დრო, რომ მშვენიერი ვოგეზის მთები გადავიაროთ და კვლავ დავიბრუნოთ უკან ქვეყნიერი სამოთხე—ელზას-ლოტარინგიაო. მაგრამ ეს ოცნება ფრანგისა დიდხანს ოცნებადვე დარჩება, რადგანაც ფრანგის საზოგადო ცხოვრებაში ვერ შეინიშნავთ ისეთს საზოგადოებრივს წესრიგიანობას, როგორც გერმანელთა შორისაა. მართალია, ფრანგი სხვა განვითარებით გერმანელს არა თუ ჩამორჩება, არამედ საფრანგეთი გერმანიაზე ბევრით მაღლა სდგას, მაგრამ რაც შეეხება საზოგადოებრივ წესრიგიანობას—ეს გერმანიაში უფრო განვითარებულია, ვიდრე საფრანგეთში. გერმანელი პატიოსანი ვაჭარია, ის არასოდეს არ გამოგართმევთ დაწესებულზედ მეტს, ფრანგი უფრო ხარბი და გაუმაძღარია, ის სცდილობს რაც შეიძლება მეტი დაგცინცლოს; ფრანგი ყველაფერში ფულს თხოულობს, მაგრამ დაწესებულ ფასს გარდა ფრანგებს განუწესებიათ კიდევ მოსამსახურეთათვის, მეეტლეთათვის ცალკე საჩუქრები; თუ მეეტლეს არა მიეცი-რა განწესებულს გარდა კიდევ საჩუქარი, ფეხს არ გადაადგამს; დღეს მაინც მსოფლიო გამოფენის გამო, ფრანგი სვავად ეჩვენება კაცს და არა საზოგადო კაცობრიულ გრძნობით განვითარებულ მოწინავე ერად. ასე წარმოიდგინეთ, დაქანცულობის გამო რომ სადმე თავისუფალი სკამი იპოვოთ და დაჯდეთ, იმისათვისაც ფულს გახდევინებენ.—ბინა საზოგადოდ ძვირი არ არის—სასტუმროებში 10 ფრანკად კარგს ოთახს იშოვით, მაგრამ ყველაზედ უფრო აუარებელი და აუცილებელი წვრილმანი ხარჯია ძნელი. დღეში, რაც უნდა მომჭირნეთ იცხოვრო, 25—30 ფრანკი მაინც დაგეხარჯებათ.

მსოფლიო გამოფენა საზოგადოდ თავისის სიდიადითა და კეთილ-განწყობილებით დიდად ჰმოქმედებს მნახველზედ, რომელიც ურიცხვის სანახავობისა გამო უცბად იღლება. ამ ჟამად პარიჟში აუარებელი ხალხია; გამოფენის გარდა, ამის მიზეზია ფრანგების საერო დღესასწაული, რომელიც ერთ კვირას გასტანს. ეს დღესასწაულია რესპუბლიკის დაარსების ასის წლის დღე, რომელიც შესრულდა 14 ივლისს. ამის გამო ქალაქი გაჩირაღდნებულია, თეატრებში წარმოდგენები ხალხისათვის უფასოდ არის; ეს ეროვნული დღესასწაული მშვენიერი სანახავია ღამით, მაგრამ ამასთან ჰხედავთ ქუჩებში აქეთ-იქით არეულობასაც; ლოთობა ამ განათლებულ ქვეყანაშიაც ყოფილა, მაგრამ არა ისეთი, როგორც რუსეთის ზოგიერთ ქალაქ-სოფლებში. ფრანგს ზარხოშად ყოფნა უფრო უყვარს. იქნება ესეც დღესასწაულის გამო იყოს; ზნეობით თავისუფლება ხომ უმწვერვალესს ხარისხამდის არის ასული ამ განათლებულს ქვეყანაში. ზოგიერთს სასტუმროებში მოსამსახურე ქალები თითქმის ევას სამოსლით ჰმსახურებენ. ამას გარდა ფრანგებს ხალხისათვის ათას ნაირი სათვალსეირო მოუგონიათ. ერთს ქუჩაზედ აჩვენებენ ტრანსვაალიდგან მოყვანილს ზანგებს, რომელთაც ხალხის გასართობად ამასხარავებენ, დაქანცული და მრავალ-ტანჯული სახე ამ საცოდავებისა გულშემატკივარს ადამიანს უფრო კაცთ-მოყვარულ გრძნობებს გაუღვიძებს, მაგრამ ფრანგი ამას არ დაგიდევს, იგი სცდილობს მხოლოდ ამ საცოდავების მასხარაობით, რაც-კი შეიძლება, ბევრი ფული შეიძინოს. ჩვენ ჯერ არ გვინახავს, მაგრამ გვჯერა, რომ უკეთესს მდგომარეობაში არ იქმნებიან ის 30 ოსი, რომელიც ჩვენის ქვეყნიდგან აქ წამოიყვანეს ამას წინად.—

ლ. ბოცვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო საზოგადოების პირველ მეთვალყურე კომიტეტის წევრებად; კრებას დაესწრნენ არა წევრნიც.

წევრებად იქმნენ ამორჩეულნი სამის წლით: კნეინა სოფიო მიქელაძისა (ძიკიას ასული), კნ. ნადეჟდა მიქელაძისა (ანჩაბაძის ასული), კნ. პელაგია მიქელაძისა (ბერიძის ასული), კნ. მარიამ მიქელაძისა (ერისთავის ასული), კნ. ოლგა მიქელაძისა (აბაშიძის ასული), კნ. ანნა მიქელაძისა (ელიავას ასული), ქ-ნი ელისაბედ კანდელაკისა (ქუთათელაძის ასული), თავადი მელქისედეკ დიმიტრის ძე მიქელაძე, თავ. მერაბ ზურაბის ძე მიქელაძე, თავ. მელქისედეკ შმაგას ძე მიქელაძე, ბ-ნი იუსტინე მიხეილის ძე კანდელაკი, ბ-ნი კონსტანტინე თოხსასის ძე მკურნალი და ბ-ნი ისაია ოტიას ძე ახოსაძე.

ახალმა წევრებმა თავმჯდომარედ ამოირჩიეს სოფიო მიქელაძისა, თავმჯდომარის ამხანაგად ნადეჟდა მიქელაძისა, ხოლო მდივნად—სარდიონ როსტომის ძე მიქელაძე.

კომიტეტმა ერთხმად ისურვა მიიღოს საპატიო წევრებად: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი, რომელსაც ტელეგრამმაც გაეგზავნა, სტეფანე ქრისტეფორეს ძე ხოჯაევი, ანატოლ იაგორის ძე კუზინო, თავ. ვლადიმერ სვიმონის ძე მიქელაძე, მიხეილ მიხეილის ძე თავ. ნაკაშიძე და სტეფან იაგორის ძე იაშვილი. ამ ნაირად კომიტეტი შესდგება 19 კაცისაგან, რომლებიც გარდა საპატიო წევრებისა, უკვე დაამტკიცა ქუთაისის საბჭომ 6 ივლისს. ფრინველთა მომშენებელ სამეურნეო საზოგადოების კულაშის პირველ მეთვალყურე კომიტეტს (Первый Кулашскій наблюдательный комитетъ) აზრადა აქვს, სხვათა შორის, თვალ-ყური ადევნოს კულაშში ფრინველთა მოშენებას, შემწეობა აღმოუჩინოს კულაშში ფრინველთა მომშენებლებს სხვა-და-სხვა რჩევით, მიაწოდოს მოთხოვნილებისამებრ შესაფერის ჯიშის ფრინველები და კვერცხები; კომიტეტმა უნდა იხმაროს ყოველნაირი ღონისძიება და მოსპოს ის გადამდებნი სენნი, რომლებიც ს. კულაშის ფრინველებს ხშირად უჩნდება ხოლმე. უნდა მოსპოს ადგილობრივი პოლიციის შემწეობითა და ფრინველების მომშენებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების დახმარებით ყოველნაირი ბოროტ-მოქმედება ჩარჩებისა და ქურდებისა, ნება აქვს აღძრას ყოველნაირი კითხვები ადგილობრივ ფრინველთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სადაც ჯერ არს, წარადგინოს განსახილველად, შეუძლიან წარადგინოს დასაჯილდოებლად ის წევრები, რომლებსაც კარგს ნიადაგზედა აქვთ დაყენებული ფრინველების მოვლა-მოშენება და სხ.-და-სხ.

შენიშვნა: ფრინველთა მომშენებელ რუსეთის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება თვალ-ყურს ადევნებს კომიტეტის წევრების მოქმედებასა და ღირსეულს ამათგანს რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას წარუდგენს დასაჯილდოვებლად.

ნ. მკურნალი.

### წერილი ქვემო იმერეთიდგან

აქამდის აბუჩად აგდებულსა და უპატრონოდ დატოვებულს მეაბრეშუმეობას დღეს ძლივს ეღირსა მფარველობა. დიდი სარგებლობა მოუტანა მეაბრეშუმეებს საბრეშუმო სადგურის ამ წლის დადგენილებამ, რომლის ძალითაც უცხოეთიდგან შემოტანილი გრენი (აბრეშუმის თესლი) უნდა გაისინჯოს და შემოწმებულ იქმნას საბრეშუმო სადგურისგან და არ უნდა გაიყიდოს სადგურის უბანდეროლოთ. როგორც შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, შემოწმების დროს თითქმის ნახევარი თესლი უვარგისობისა გამო უკანვე დაუბრუნებიათ ფირმებისათვის. აშკარაა, რომ სხვა დროს, როცა არავითარი შემოწმება არ არსებობდა ჩვენში, მეაბრეშუმე ალალ-ბედზედ იღებდა კარგს თესლსაც და უვარგისსაც და, მაშასადამე, მოსავალიც სათამაშო ლატარიასავით საეჭვო იყო. ახლა-კი თესლის ვარგისობა მაინც ეჭვს გარეშეა და შრომის ნაყოფი წინ-და-წინ უზრუნველ-ყოფილი, თუ რამე განსაკუთრებულ პირობებისა გამო არ დაავადმყოფდა ჭია. ამასთანავე არც თესლზეა მომატებული ფასი და ვერც გრენიორები გაჰბედვენ მომავალისთვის უვარგისის თესლის შემოტანას,—მაგრამ ყველაფერზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ დღეიდგან მოტყუების სახსარი მოესპო იმ ჩარჩ-ვაჭრებს, რომელნიც სხვა-და-სხვა, ვითომდა გამოჩენილ, ფირმების სახელით ასაღებდნენ ძლიერ საეჭვოდ ცნობილს თესლს ექვს აბაზიანს სამ-მანეთადა და მეტად, ანდა ადგილობრივ, სოფლად მომზადებულ თესლს, ლამაზ-ლამაზს კოლოფებში ჰყრიდნენ, რომ უფრო თამამად ესარგებლნათ სოფლელების უვიცობითა და გამოუცდელობით და ადგილობრივი თესლი მეტს ფასში გაეყიდნათ. საბრალო გლეხ-კაცი თესლის ფასსაც ჰკარგავდა და ხანგრძლივს შრომასაც, რომლის შემდეგ დაავადმყოფებული ჭია უნაყოფოდ უნდა გადაეყარა. ამიტომ დიდის სიხარულითა და მადლობით მიეგება ჩვენი საზოგადოება საბრეშუმო სადგურის ამ გონივრულს დადგენილებას თესლის შესახებ და იმისთანებმაც-კი აიღეს თესლი, რომელნიც დღემდის დაშინებულნი იყვნენ უნაყოფო შრომის ხშირის მაგალითებით. მაგრამ მრავალ-წლობით დახელოვნებულმა ჩარჩ-ვაჭრებმა ამ შემთხვევაშიაც გამოსძებნეს საძვრენი და, ვინ იცის, რა არ დასწამეს საბრეშუმო სადგურს, რომ ხალხს სადგურის მიმართ ნდობა დაეკარგნა და ძველებურად როგორმე თითონ ესარგებლნათ. ხმა გაავრცელეს, ვითომ სადგური ბრმასავით ალალ-ბედზედ არჩევს კარგსა და ცუდს თესლს, ვითომდა სადგური ფირმების სახელით ხელმძღვანელობს და არა თესლის ღირსებით, ვითომდა ქრთამს იღებს და გრენიორის უვარგისს თესლს კარგადა სცნობს და სხ. და სხვანი. მართალია, ის არ ითქმის, რომ საზოგადოებამ დაუჯერა ამ გულ-დაწყვეტილთა ცილის-წამებას, მაგრამ არც ის ითქმის, რომ ჩარჩების ხრიკებს მთლად უნაყოფოდ ჩაეაროს, რადგანაც ჭორებთან ერთად „მიბაძვის ხელოვნებასაც“ მიჰმართეს და სადგურის ბანდეროლის ნაცვლად თეთრ ქაღალდის ნაჭრებით დაასურათეს უვარგისის თესლის კოლოფები სხვა-და-სხვა წამაცდენ ზედ-წარწერებით. გულ-უბრყვილო ხალხმა დაიჯერა და მრავლად დაიყიდა წრეულსაც ამგვარი უვარგისი თესლი. აი ერთი მაგალითი ჩარჩულის ხრიკობისა: ამას წინად სანადიროდ გიახელით. ისე გამიტაცა ნადირობამ, რომ ვერც-კი შევამჩნიე რამოდენი მანძილი გამეარნა და შევედი ერთს მივარდნილს სოფელში (ქუთაისის მაზრაშია). სოფლის შუა, დუქნის წინ მოგროვილიყო მთელი სოფელი, შუაში ჩამდგარიყო ერთი დიდის ხნის ხრიკობით ცნობილი კისერ-გასუქებული ვაჟბატონი, დაეჭირა ხელში თეთრი ქაღალდით შემოკრული თესლის კოლოფი და ხმა-მაღლად ჰქადაგებდა, რომ ვინც ამ კვირაში არ იყიდით, მერე ვეღარ იშოვით ამ ფირმის თესლსაო. თესლი დიდებულ ფირმისაა—ისეთი ფირმისა, რომ საბრეშუმო სადგური ვერც-კი გაჰბედავს ამ ფირმის თესლის გასინჯვასა და ეს თესლი პირდაპირ „ზაგრანიციდგან“ არის მოსულიო. საზოგადოებაც უხვად ეტანებოდა ამ დიდებულს „ზაგრანიცის“ თესლს. მეც, თქვენმა უმორჩილესმა მონამ, გავბედე და ერთი კოლოფი ავიღე და ზედ აი რა სასაცილო წარწერა წავიკითხე, მკითხველო! ბანდეროლის სანაცვლოდ თეთრის ქაღალდის ნაჭერზე პრუტლად გამოჭიმული იყო შემდეგი სიტყვები: „შინაურებს ცხრა აბაზ ნახევრად და სხვებს-კი თორმეტ აბაზადო“. საცოდავი ხალხი! თურმე ნუ იტყვით, რომ იქ „შინაური“ არავინ ყოფილიყო და ყველამ თორმეტ-თორმეტ აბაზად იყიდა. რა თესლია ეს თესლი, ეს ალლახმა უწყის და მომავალი გამოაჩენს, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ იგი საბრეშუმო სადგურს არ შეუმოწმებია და წონითაც იმდენი არ არის, რამდენიც სადგურისაგან შემოწმებული იმავე ფასის კოლოფია.

ურიგო არ იქმნებოდა, საბრეშუმო სადგურს შემოწმების დადგენილობის გარდა, ამ გარემოებისთვის მიექცია ყურადღება და ადგილ-ადგილას თვალ-ყურის მდევნებელი კაცები დაენიშნა, რომ შეუმოწმებელი თესლი არ გაყიდულიყო. იმედია, სადგური მომავალისთვის მაინც შეავსებს ამ ნაკლს, და ახლა-კი განსაკუთრებულის კანტროლების დანიშვნამდე ტფილისის საბრეშუმო სადგური მთავრობას სთხოვდეს დახმარებას და სოფლის ბოქაულებსა და მამასახლისებს დაევალებოდეს ამ გვარის მოტყუებით თესლის გასყიდვას თვალ-ყური ადევნონ და ნება არ მისცენ.

უფრო შეგნებული მამასახლისები ახლაც ასრე იქცევიან, მაგრამ უმეტესობა მთავრობისაგან მოელის განკარგულებას.

ანტონაშვილი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** საერთა-შორისო ჯარმა ტიან-ძინი აიღო. ეხლა ორი ქალაქია ევროპიელების ხელში—ტაკუ და ტიან-ძინი, ორივე ბრძოლით აღებული. როგორც პირველის, ისე მეორე ქალაქის აღება მეტად მძიმად დაუჯდათ ევროპიელებს. ორივემ დიდ-ძალი ხალხი იმსხვერპლა. მართალია, ჩინელებმა ტიან-ძინის ბრძოლაში 1000 კაცი დაჰკარგეს, მაგრამ ჩინელებმა ეს ბრძოლა არც მოკავშირეთა ჯარს დაუსვეს იაფად: თითქმის 500 კაცი მათაც დააკლდათ. ამ ორმა ბრძოლამ ნათლად დაანახვა ევროპიელებს, რომ ჩინელები არც ისე მშიშარა ხალხნი ყოფილან და არც ისე მოუმზადებელი, როგორც წინად ეგონათ. თუ ამ ორის ქალაქის აღებამ ამდენი ხალხი იმსხვერპლა, ეჭვი არ არის, მთელის ჩინეთის დაწყნარება და იქ მშვიდობიანობის დამყარება ერთი ასად მეტ მსხვერპლს მოითხოვს. ტიან-ძინის აღებას უმთავრესად იაპონელებსა ჰხვდათ წილად. ბრძოლის ველზედ იაპონელებს 7000 კაცი ჰყავდათ, რუსებს—2400, ამერიკელებს—420, გერმანელებს—220, ფრანგებს—200, იტალიელებს—70 და ინგლისელებს მხოლოდ 43 კაცი. ტიან-ძინის აღებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოკავშირეთა ჯარისთვის: ჯერ ერთი—ჩინელებს ამით კარგი გაკვეთილი მისცეს, მეორე—გზა გაეხსნათ პეკინისკენ. ეხლა შეერთებულ ჯარის უმთავრესს საზრუნავს პეკინი შეადგენს.

— მანჯურიაში რუსებსა და ჩინელებს შორის მომხდარ შეტაკებისა გამო ინგლისური გაზეთი „Times“-ი სწერს: „მანჯურიის აჯანყება და აგრეთვე ის, რომ ჩინელებმა ყუმბარები დაუშინეს რუსების გემებს ამურზედ და რუსების ქალაქს ბლაგოვეშჩენსკს, პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ ჩინეთი რუსეთს საჯაროდ ომს უცხადებს. თუ ჩინეთი ასე ექცევა იმ სახელმწიფოს, რომელსაც ყველაზედ დაახლოვებულად სთვლიდა, რაღა ლაპარაკი უნდა, იგი უფრო არ დაერიდება სამხრეთ პროვინციებს, რომელნიც ჩვენს გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ამიტომ უპირველესი ჩვენი ყურადღება გონკონგსა, შანხაისა და სხვა სავაჭრო ადგილებს უნდა მივაქციოთ და ჯარი გავგზავნოთ, რომ თუ კიდევაც ჩინელებმა იქაც განიზრახეს რამ, მზად ვიყოთ. სამხრეთ პროვინციების ვიცე-კოროლებს არაფერი არ დაეჯერებათ. არც ლი-ხუნგ-ჩანგს დაეჯერება: ამ მოხერხებულ და ეშმაკ კაცს აზრად მხოლოდ ის აქვს, რომ ამბოხება სამხრეთ პროვინციებშიაც გამოიწვიოს და შემდეგ დასაჯოს ის ვიცე-კოროლები, რომელნიც პეკინს გადუდგნენ“.

— ამბოხება ჩინეთში თუ არ იზრდება და მატულობს, არა კლებულობს მაინც. აი, რას ატყობინებენ გაზეთ „Daily Express“-ს: „ხონანის პროვინციებში „მოკრივენი“ მთელის ბრბოებით ერთის ადგილიდგან მეორეში გადადიან, ყველგან ანადგურებენ და მიწასთან ასწორებენ ჩინელ ქრისტიანთა უბნებს და თვით ქრისტიანებს სიცოცხლეს უსპობენ. ჩინეთში არ არის ისეთი ნავთ-სადგური, რომელსაც განსაცდელი არ მოელოდეს. შანხაიც-კი დიდ განსაცდელშია, თუმცა ვიცე-კოროლი მალ-მალ გვანუგეშებს და გვიმედებს. მეამბოხენი ჩეკიანგის პროვინციას მოედვნენ. უცხო-ქვეყნელნი სიკვდილს მხოლოდ იმით ასცდნენ, რომ საიდუმლოდ გაიპარნენ. მარტო ვენჩოიდგან 40 ევროპიელი გაიპარა. უფრო უარესი ამბებია იუპეისა და ხუნანის პროვინციებში. ერთ ქალაქში მოჰკლეს კათოლიკეთა ეპისკოპოსი და ორი მღვდელი. ინგლისის გაზეთების სიტყვით, მარტო ამ ორ პროვინციაში აწამეს და სიცოცხლე მოუსპეს 20,000 ჩინელ ქრისტიანეს. ბევრს ქრისტიანეს ხელები, ყურები, ცხვირი მოაჭრეს და შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს“. როგორც ეგვე გაზეთი მოგვითხრობს, მთელს ჩინეთში ამბოხების დაწყებიდგან დღემდე 100,000-მდე ჩინელი ქრისტიანე მოუკლავთ.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, ჩინეთის ზოგიერთ ადგილებში შავი ჭირი გაჩენილა. პეკინში ისე დღე არ გავა თურმე, რომ რამდენიმე კაცი არ მოკვდეს. ტიან-ძინშიაც რამდენიმე კაცი მომკვდარა შავის ჭირისაგან. სხვათა შორის პეკინში შავის ჭირისაგან 4 იტალიელი მისიონერი მომკვდარა.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

იტალიანური გაზეთები შემდეგს ამბავს იუწყებიან: ამ თოთხმეტის წლის წინად რომში მისულა ერთი მეტად წარმოსადეგი, მოხდენილი და ლამაზი ყმაწვილი კაცი. ამ კაცს ხმა გაუვრცელებია, რომ სანდვიჩის კუნძულების მეფის კალაკოა I-ის შვილი ვარო, სახელად რობერტ ვილკოკსი დაურქმევია. თან ვილკოკსის 4 სანდვიჩელი ჰყოლია. ევროპაში უთქვამს „პრინც რობერტს“, აქაურ ხალხის კულტურისა და ზნე-ხასიათის შესასწავლად მოვედიო. რომიდგან „პრინცი რობერტი“ ტურინში წასულა დ იქ სამხედრო აკადემიაში შესულა. აკადემიაში ყოფნის დროს ძალიან დაახლოვებია აკადემიის უფროსის, პოლკოვნიკის სობრეროს ოჯახს, უფრო-კი პოლკოვნიკის ქალს ჯინს. მალე ახალგაზდებს სიყვარული გამოუცხადებიათ ერთმანეთისათვის. ქორწილი დიდის ამბით გარდაუხდიათ. იმ დღეს, რა დღესაც ჯვარის წერა მომხდარა, ტურინში მისულა 4 წარჩინებული სანდვიჩელი და თან მდიდარი საჩუქრები მიუტანიათ, ვითომ მეფის კალაკოას მიერ გამოგზავნილი. ჯვარის წერის შემდეგ ახალგაზდანი სანდვიჩის კუნძულებზედ წასულან. მალე ჯინის იქ შეუტყვია, რომ იმისი ქმარი მეფისა კი არა, უბრალო მონის შვილი ყოფილა. ჯინს, რასაკვირველია, არაფრად მოსწონებია ეს ამბავი, მაგრამ მაინც შერიგებია თავისს ბედს და ქმრისთვის თავი არ გაუნებებია. მაგრამ არ გასულა ბევრი ხანი, რომ ქმარს ცემაც კი დაუწყვია ცოლისათვის. მაშინ საწყალი ჯინი ჩამჯდარა პირველსავე გემში და წასულა იტალიას. იქ სასამართლოსთვის მიუმართავს და განქორწინება უთხოვნია. მაგრამ სასამართლოს ეს არ შეუწყნარებია. უარი მიუღია განქორწინებაზედ სააპელაციო სასამართლოშიაც. ამავე დროს რობერტს, გაუგია რა, რომ ჯინი განქორწინებასა თხოულობსო, უფიქრნია, უთუოდ განაქორწინეს კიდეც, და მეორე ცოლი შეურთავს ამერიკაში. იტალიის სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ამის შემდეგ განაქორწინა მეუღლენი და ჯინი განათავისუფლა. ჯინი მეორედ გათხოვილა, ხოლო რობერტის ბედი ცუდად დატრიალებულა: იგი ამბოხებაში ჩარეულა, ამის გამო დაუჭერიათ დ სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ. შემდეგ ეს სასჯელი შეუცვლიათ და სამუდამოდ დაუპატიმრებიათ.

* * *

გაზეთ „Temps“-ში აწერილია ვინმე ანდრეს ცხოვრება, რომელიც რამდენიმე წელიწადი ოსმალეთის სულთანის მზარეულად ყოფილა. ამ ჟამად ანდრეს მარსის მინდორზედ საკუთარი რესტორანი აქვს. სულთანისა და ილდიზ-კიოსკის შესახებ ანდრეს ბევრი რამ უამბნია წერილის ავტორის ადოლფ ბრისონისათვის. ყოველ დღე სულთანისათვის ანდრე ოთხნაირ საუზმეს ამზადებდა თურმე—ფრანგულსა, ოსმალურსა, ბერძნულსა და ალბანურს. თითო საუზმე 12 თავისაგან შესდგებოდა. ანდრეს დილით ადრე—3 საათზედ უხდებოდა ადგომა. იმისი თანაშემწენი ოსმალნი ოსმალურს საჭმელებს ამზადებდნენ—ტოლმას, ბაკლავას, კაიმანს და სხვას, ხოლო თვით ანდრე—ევროპიულ საჭმელებს. სულთანს ძალიან მოსწონს თურმე ანდრეს მიერ მომზადებული საჭმელები. ერთხელ ერთი საჭმელი ისე მოსწონებია, რომ მზარეული თავისთან დაუბარებია და ლაპარაკი დაუწყვია. როდესაც სულთანის ოთახიდგან გამოსულა ანდრე, კარის-კაცნი მოწიწებით თავს უკრავდნენ და ხელს ართმევდნენ თურმე. მაგრამ ამ დღიდგან იმავე კარის-კაცებს საშინლად აუთვალწუნებიათ. ბოლოს ისე შეუვიწროებიათ საწყალი მზარეული, რომ სასახლიდგან წასვლა განუზრახავს. რადგანაც სულთანს არა ნდომებია იმის გაშვება, ერთ ღამეს საიდუმლოდ გამოპარულა, გემში ჩამჯდარა და სტამბოლიდგან წასულა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ივლისი

**პეტერბურგი.** გენერალ-მაიორი სახაროვი დეპეშით იუწყება მიხაილოვო-სემენოვსკიდგან: „9 ივლისი, გზას განვაგრძობთ. დღეს სროლა

დავუწყეთ ლატუშის სიმაგრეს. მეციხოვნენი გაიქცნენ; სიმაგრე დავწვით; თხრილი გავასწორეთ“.

მთავარ შტაბიდგან იუწყებიან, რომ მთავარი ინჟინერი იუგოვიჩი ხარბინშია; იქვეა რკინის გზის სადარაჯოს რაზმის 700 კაცთან ერთად გენერალ-მაიორი გერნ-გროსსი. საშიშ მდგომარეობაში არიან ტელინისა და სხვა რაზმები, რომელნიც ხარბინისაკენ წავიდნენ, მაგრამ ამ ქალაქს ვერ მიაღწიეს. რაზმი, რომელიც 200 კაცისაგან შესდგება, და რომელსაც 15,000 კაცის მოგერება მოუხდა, 24 ივლისს გამოვიდა, მაგრამ ხარბინში ჯერ არ ჩასულა. ჰფიქრობენ, რომ, თუ რაზმი სრულიად არ ამოწყვიტეს, ძალიან საშინლად მაინც დაზარალდებაო.

**კაპშტადტი.** კარრინგტონისა და როდეზიის ჯარს პირველად მოუხდათ მტერთან ბრძოლა. მათ იერიში მიიტანეს ბურებზედ და ცხარე ბრძოლის შემდეგ განდევნეს ისინი, ინგლისელებს მოუკლეს 4 და დაუჭრეს 19 კაცი. ბურებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ლორენცო-მარკეზე.** ინგლისის დარაჯებმა მოჰკლეს ბურების წინამძღოლი ლამბორდი.

**ბელგრადი.** ახალი კაბინეტი ალექსეი იოვანოვიჩის თავმჯდომარეობით შესდგა.

**სეული.** ჩემულპოსა და პორტ-არტურს შუა კვირაში სამჯერ გემები დადიან.

**პოლა.** ჩინეთში წავიდნენ სამხედრო გემები „კაიზერინ ელისაბედი“ და „ასპერნი“.

**ვატერვალი.** გენერალმა კლერიმ იერიში მიიტანა ვატერვალზედ, მემარცხენე ჯარი ინგლისისა, პონკლერის წინამძღოლობით, შეება ძლიერ რაზმს ბურებისას.

**გონკონგი,** 12 ივლისი. წასვლის დროს ლიხუნგჩანგმა გააუქმა თავისი წინანდელი ბრძანება იმის შესახებ, რომ „შავი დროშები“ პეკინში წასულიყვნენ. ამ ჟამად „შავი დროშები“ კანტონში არიან დაბანაკებულნი; მათ თვალ-ყურს ვიცე-კოროლის თანამდებობის აღმასრულებელი ადევნებს, რომელმაც პირობა მოგვცა, უცხო-ქვეყნელთ შიში არ მოელითო. წარსულ კვირას, ბაპტისტთა აქაურ ეკკლესიაში წირვის დაწყობისას, მახლობელს სახლში აფეთქება მოხდა. ეკკლესია და იქ მყოფნი უვნებელნი გადარჩნენ. ჩინელები ამბობენ, რომ აფეთქება უცაბედად მოხდაო.

13 ივლისი.

**პეტერბურგი.** ხაბაროვსკიდგან 11 ივლისს მოსული დეპეშა გენერალის გროდეკოვისა: „9 ივლისს ცურუხაიტუიში მოვიდა მეექვსე მსვლელი ასეული, რომელსაც რკინის გზის მეხუთე ნაწილის მსახურნი მოჰყვნენ თან. 11 ივლისს, როდესაც გემი „ალექსი“ სტანიცა რადდეს მიუახლოვდა, ჩინელებმა მდინარის მარჯვენა ნაპირიდგან სროლა დაუწყეს. გემზედ ავიდა ყაზახთა ოფიცერი შეიარაღებულის ყაზახებითა და დახმარება ითხოვა. მიიღო-რა გემის უფროსმა პოდპოლკოვნიკმა კრუზელევსკიმ დეპეშა გენერალის გრიბოვსკისა, რომელიც ყაზახთა ოფიცერმა გადასცა და სცნო-რა, რომ ჩინეთის სადარაჯოები მთლად გაუქმებულიაო, მიიღო იგინი გემზედ და დილით ოთხის ვერსით ქვეით გადასხა ჩინეთის ნაპირზედ ორი როტა ჯარი, რომელიც მაშინვე ჩინეთის პატარა სიმაგრისაკენ წავიდა. ჩინელებმა საშინელი სროლა ასტეხეს. ჩინელების სიმაგრეები აიღეს და ცეცხლი წაუკიდეს. ჩვენმა ჯარმა რამდენიმე ნიშანი და თოფი წამოიღო; ცეცხლის გაჩენის დროს სამი თოფის წამლის სარდაფი და ურიცხვი სროლა ტყვია-წამალი ააფეთქეს.

**ბლაგოვეშჩენსკი.** 10 ივლისი. ბინდისას დრო გამოშვებით ისროდნენ, მერე მოუხშირეს, შემდეგ-კი საშინლად გააძლიერეს სროლა. შუაღამისას სროლა შესწყდა. ზაზეის რაზმმა აიღო რამდენსამე ადგილას ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლი მძლიერდება.

**ლონდონი.** ბრონკჰორსტპრუიტიდგან იუწყებიან 11 ივლისს, რომ როგორც-კი შეიტყეს ბურებმა ბრიტანიის ჯარები მოდისო, მაშინვე ყველა სიმაგრეები დასტოვესო.

ამბობენ, ბურები ლიდენბურგისაკენ მიდიან და კრიუგერიც იქ მივაო. ერთი ნაწილი ბურებისა ბუშფელდის ჩრდილოეთითაა რჩება, რომ აქედგან ბრიტანელებს გზა შეუკრანო. ხიდები სულ დაქცეულიაო. ბრიტანიის მთელი რაზმი ისე მოვიდა აქ, რომ დაბრკოლება არსად შეჰხვედრია გზაზედ.

**ვაშინგტონი.** შანხაიში მყოფი ამერიკელი კონსული იუწყება, რომ ლიხუნგჩანგი შანხაიდგან აღარსად წავა და აქედგან ექმნება მოლაპარაკება, რადგანაც სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ითხოვს ეს.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება, რომ რადლოველის მახლობლად ინგლისელებისათვის ბურებს სურსათის ურმები წაურთმევიათ; ურმებთან იყვნენ ორი ოფიცერი და 200 ვალიის მსროლელი ჯარის-კაცი, რომელთა უმეტესობაც ტყვედ იქმნა წაყვანილიო.

როგორც ბადენპოუელი იუწყება, მთის გასავალს მაიატში პოლკოვნიკს აირის 400 ჯარის-კაცით 1,000 ბური განუდევნია დიდი სიმაგრიდგანა და დაუმარცხებია. ბურებს დიდი ზარალი მოუვიდათ; ჩვენ 6 მოგვიკლეს და 19 დაგვიჭრესო.

**ლონდონი.** როგორც ტიანძინში ფიქრობენ, მოკავშირე ჯარები მალე წაიწევენ თურმე წინ; შეიძლება ამ თვის გასულშიაც მოხდესო. უკანასკნელს გარდაწყვეტილებას იმ დრომდის არ დაადგენენ, ვიდრე გენერალი გეზლი არ მოვა, რომელსაც რამდენსამე დღეში მოელიანო. მახლობელ ადგილებიდგან იუწყებიან ჩინელები, რომ საიმპერიო ჯარი აჯანყებულთა ჰხოცავს ყველგან და ამბობს, რომ აჯანყებულებმა უსწორო და საეჭვო ბრძოლაში ჩაგვითრიესო.

**ვაშინგტონი.** სამხედრო გემის „ბრუკლინის“ უფროსი აუწყებს სახელმწიფო სამინისტროს ჩიფუდგან, რომ 9 ივლისს ტიანძინში კონკერის წერილი მოვიდა, 21 ივნისს მოწერილი, რომლითაც აცნობებს, რომ საშიშს მდგომარეობაშია და საჩქაროდ მიშველება აუცილებლად საჭიროა, კონჯერი წინადვე აფრთხილებს, რომ გამათავისუფლებელს ჯარს პეკინში საშინელს წინააღმდეგობას გაუწევენო. ვაშინგტონში მყოფმა ჩინეთის ელჩმა ორშაბათს ამერიკის ელჩს კონჯერს გეის მეორე დეპეშა გაუგზავნა.

**ლონდონი.** მოლაპარაკების უმთავრეს მუხლების შესახებ ლიხუნგჩანგმა განაცხადა შანხაიში, რომ ჩინეთი ფულად სრულიად ვერაფერს გადიხდის და ხალხიც ნებას არ მისცემს მთავრობას ამას იქით უცხო სახელმწიფოთ რაიმე ადგილი დაუთმოთ ჩინეთშიო. სახელმწიფოებმა მხოლოდ ის უნდა იკმარონ, რომ მთავრობა ადმინისტრატიულის ცვლილებით მოახდენს და უწესობასა და არეულობაში პასუხის მგებელს მოხელეებს სამსახურიდგან გადააყენებს და მათ მაგივრად სხვებს დანიშნავს.

---

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

შ

შავი მსხალი—„თავრიზულს“-აც ეძახიან, ქართლში გვარობს, მშვენიერი ზამთრის მსხალია.

შავეთი [1])—საზოგადოდ „უკლოთ“ სამყოფი ქვეყანა, სადაც ამ სოფლით გასულნი ბინადრობენ. ჯოჯოხეთი და სამოთხე ხალხს არა აქვს გაყოფილი ამ სიტყვაში; რაკი კაცი მოკვდება, ფშაველისთვის სულ ერთია ჯოჯოხეთშია, თუ სამოთხეში, იმისი რწმენით სული შავეთშია და იგივე მოთხოვნილებანი აქვს, რაც აქ ცოცხალს ჰქონდა. ჯოჯოხეთი და სამოთხე ქრისტიანობამ ასწავლა. დ. ხ—ლის კრებულის 242 გ. მოხსენებული შავეთის აღწერა გაფშაველებული საიქიოს აღწერაა, ქართლიდგან ან კახეთიდგან შემოტანილი.

აი ხალხი როგორ ასწერს:

„რად უნდა მოშავეთეთა
სამკლავე, საფუხარია,
მეც გამყვა სამარის კარსა,
მაგრამ ვერ მოვიხმარია.
ჩამოქცეულა შავეთი,
ჩამოდიოდა წყალია.
ბევრს ვაჟას ჩამაუშალნა
აშურმიანნი ჩხარნია,
ბევრის ქალისა დაშალნა
შვიდად ნაწნავნი თმანია.
რა რიგი ხალხი ყოფილა,
ერთსაც არ უსხედს თვალნია.
შავეთის მეუფროსესა
სამჯერ დავუკარ თავია“...

ან:

„შავეთს რა გვიჭირს უკლოთა,
წინ შუქი გვიდგა სანთლისა,
თეთრის ტირიფის სახლები,
შიგ კომლი ბრუნავს სარკმლისა;
შიგა დგა სალვინეები
სავსე ნაკურთხის სასმლითა,
სკამ გვიდგა სასვენებელი,
კარ გვიძავ ცოდვა-მადლისა;
წინ გვიდგა ოქროს ტაბაკი,
სალაღებელი ბალღისა;
გვერდით ცივ წყარო ჩამოდის,
პირის საბანი ქალ-რძლისა,
გვერდით გვიბავის ცხენები,
დაყაჯრულები ლაგმითა.
თუ სამ ხმა გატყდა, იძახონ,
იქ წავალთ ცხენით, საგძლითა.
გვერდს მიდგან მოჯაბრეები.
იაკსარ უდგა ლახტითა...
სხვად-კი ვერავინ შაჯობნებს,
ერთი მჯობს ერთის მადლითა.
რადა გწყინს, ძმაო, თორღვაო,
არ ვამბობ შენის ჯაბრითა!
გიბარებ, ძმაო, ჩემს ცხენსა
ქარ აემიოდე ბაკნითა.
ერთხელის კიდევ გამრიეთ
სეროზას ერთის ბატკნითა,
ი დედაჩემიც იქ მაჰყვეს,
დაც იქ მოვიდეს სხვაკნითა! [2])

შალშავი—პატარა მთის მცენარეა, შავად მწიფდება მარიამობისთვეში, გემო კვრინჩხს უგავს, ბალახებში არა სჩანს ხოლმე. черника ფშ.

შაკუთება—შედედება. ფშ. სისხლი, ან რძე.

შალდაყიანი—მაღალის, გაუვალ ბალახით დაფარული ადგილი. ფშ.

შაპრი—შაპრს ქართლში დაბერებულს მწვანილს ეძახიან, რომელიც საჭმელად აღარ ვარგა, ან მხალი. ჩუბ. და საბას მცენარედ უწერია.

შართხა-ბურთხა—რომელიც არას დასდევს კოხტაობას, თავისს სილამაზეს და უბრალოდ იცვამს. ფშ.

შახმუხი—იგივე შართხა-ბურთხა. ქართ.

შე—ქალის ჩასაბმელი ძაფი. ფშ.

შებეხლება—ხატზედ შერისხვა. ქართ.

შებორკვა—შეკვრა. ქართ.

შებორკილი—შეკრული, ხელ ფეხ გაკრული.

შეთათხვა—გალანძღვა, შეტევა. ქართ.

შეთეთრება—თოვლი შეათეთრებს მთას ან ცხვრის ფარა, როცა გაიშლება.

შეთვლილი—დაბარებული.

შეთვალება—ყურძენი, ან ხილი რო ახლად მწიფებას დაიწყებს, იტყვიან შეთვალდაო.

შეთვალიერება—დაზვერვა, დათვალიერება.

შეთოქროვება—გაჰქენებულ ცხენებს და მხედრებს რომ უცებ შეაკრთობს რამე და შედგებიან.

შეთოშვა—თოვლ-ყინულით შემოსვა.

შეთოშილი—თოვლ-ყინულით დაფარული.

შეთქვირება—ქალი რო ახლად ასაკში მოდის და ძუძუ-მკერდი ევსება, ან საქონელი რო გასუქებას იწყობს. ქართ.

შეკრული—ირგვლივ როცა აქვს რამე მოჰერილი.

შემობდღვნა—ტანისამოსის შემოგლეჯა.

შეფურჩვნა—ვაზისათვის უვარგის ტოტების და რქების შერთმევა. ქარ.

შვინდაწალა—ხე შვინდის მსგავსი. ფშ.

შინში—დეიდაშვილი. ფშ.

შიმელა—ახალმოზარდი ხე. ფშ.

შილინდი—თოფების ერთად სროლა. ფშ.

შლილი—ფერადი დაურთველი ყაჰი. ფშ.

შნოება—შნო, ლაზათი.

შოლტა—გუდა გაყვლეფილის ტყავისა. ფშ.

შუპყა—მც. საჭმელია, ღერსა ფუკქნიან და ისე სჭამენ. ფშ.

შხამა—უცუნა, შხამიანი მც. ფშ.

შხეპლა—წკეპლა. ფშ.

შუქურვარსკვლავი—ვარსკვლავი, მგონი განთიადისას ამოდის.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 141.

[1]) დ. ხიზანაშვილის „ფშ. ლ.“ შავეთის აღწერას სხოლიოში ახსნა აქვს ასე: „ჯოჯოხეთის აღწერა“, შავეთი სრულიადაც არ არის ჯოჯოხეთი, როგორც მკითხველიც დაინახავს.

[2]) ეს ლექსები ჩემის კრებულიდგან მაქვს ამოღებული.

---

## ვის დაუჯეროთ?

ამა ივლისის 8 რიცხვის თარიღით გამოსულ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“ რუსული „უჩილიშჩე პრავოვედენია“ ნათარგმნია ორნაირად. პირველი გაზეთი ჰსთარგმნის „სასჯულო სასწავლებლად“, ხოლო მეორ—„მართლიერების სასწავლებლად“. ვნახოთ, რამდენად სწორეა ან ერთი, ან მეორე თარგმანი. „უჩილიშჩე“ ქართულად უნდა ითარგმნოს „სასწავლოდ“, ეს სიტყვა ძველ მწერლობაშიაც არის ნახმარი და დღეს გურულები და მთიელები ხმარობენ. მაშასადამე, ნება არა გვაქვს უგულებელ ვჰყოთ. „სასწავლებელი“ კი სულ სხვა სიტყვა არის შინაარსითაც და სახითაც. გრამატიკულად ვნებითის სახის მიმღეობაა და ითარგმნება ლათ. docendus, მნიშვნელობით კი ნიშნავს „სუბიექტს“, ვისაც რამე უნდა ასწავლონ“. იტყვიან და წინადღეებშიაც გავიგონე ნამდვილის ქართველის ქალისაგან ქართულით „ბევრი შვილი მყვანდა სასწავლებელიო“. „უჩილიშჩე“ რომ „სასწავლებლად“ ვთარგმნოთ და საბუთად ვთქვათ, ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთობა ხმარობსო, ეს როდი კმარა. ვიდრე რომელიმე სიტყვა იხმარებოდეს, საჭიროა შევამოწმოთ ძველ მწერლობასთან და ერის ცხოველ მეტყველებასთან, თუ რამდენად სამართლიანია ის მნიშვნელობა, ან ის სახე, რაც გვწადია მივათვისოთ. თუ არა და რა საჭიროა მაინცა და მაინც ისე არ ვიფიქროთ და გამოვთქვათ, როგორც რუსულის ენის ბუნება მოითხოვს. ამას ხომ უცხოეთის მავნებელი გავლენა ეწოდება. ან კი რა სასიამოვნოა ყურისთვის, მაგალითად, „სასწავლებლების მასწავლებლების“. ჩვენის მწერლობის განვითარებისთვის მზრუნველ მწერლებსა და მწიგნობრებს არა ნაკლებად ჰმართებთ ენის კეთილ-ხმოვანებისთვისაც იფიქრონ. ფრანგული ენა მხოლოდ „ეკოლს“ ხმარობს და დავიჯეროთ სიღარიბეს უნდა მოასწავებდეს ეს გარემოება, ან ის—სიმდიდრეს რომ რუსულს ენაში „სკოლასთან“ „უჩილიშჩეც“ მოიპოვება. რაც შეეხება „პრავოვედენიეს“ თარგმნას, აქაც შეცდომა მოსვლიათ და მასთანავე სხვა და სხვა ნაირი. „პრავოვედენიე“ არც „მართლიერებას“ ჰნიშნავს, რადგანაც ეს სიტყვა უჯიშო და უნიადაგოა, და არც შეიძლება ვთარგმნოთ „სასჯულოდ“, რადგანაც „პრავო“ „სიმართლე“, „სამართალია“ და არა „სჯული“. „პრავოვედენიე“ ნამდვილი რუსული როდია, ეგია ნათარგმნი „იურისპრუდენცია“ და, მართალი უნდა ვთქვათ, კარგადაც უთარგმნიათ. ჩვენებურად რომ გადმოვიღოთ „იურის პრუდენცია“, უნდა ვთქვათ „სამართლის მეცნიერება“, რადგანაც „იუს“ ნიშნავს ლათინურად „სამართალს“ და „პრუდენცია“ „სიბრძნეს“, ანუ „მეცნიერებას“. მაშასადამე „უჩილიშჩე პრავოვედენია“ უნდა ითარგმნოს „სამართლის მეცნიერების სკოლად“, თუ მაინცა და მაინც „სასწავლოს“ არ შეიწყნარებს ზოგიერთი ჩვენი მწიგნობარი. ეგების მიპასუხონ, „სკოლა“ დაბალის სწავლის სადგომიაო, მაგრამ აქაც შეცდომაა და სამწუხარო გავლენა უცხოეთისა. თუ რუსულ ენას „შკოლა“ დაბალის სწავლის სადგომად მიაჩნია, ეს მისი ბუნებისა და მ სი მწერლობის საქმეა; სრულიად სურვილი არა გვაქვს და არც სიმართლე მოვიქცეთ ამნაირად, რადგანაც ეს იქმნება ჩვენის სამწერლო ტრადიციებისა და დღევანდელის ცხოველის საუბარის წინააღმდეგი.

პეტრე მირიანაშვილი

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

**პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:**

21 ივლისი

საქმე ვლადიმირ კობახიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.

სპირიდონ და პავლე გულიტაშვილებისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე-996 მუხ. აღნიშნულ დანაშაულის ბრალი ედებათ.

თელა ბუგულაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის ბრალი ედება.

---


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის აბარაკი ბორჯომში (აბასთუმნის ქუჩაზე), რომელიც შეიცავს 5 ოთახს ძირის სართულში და 4 ოთახს ზემოსაში, **იძლევა ქირით დაკლებულის ფასით.** პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის მე 4 ამშენებელ განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 8—დგან 1-ლ საათამდე. (3—6.—2)